საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

# ბრძანება

ქ. თბილისი

N 427-02
04/03/2025

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მოლეკულური ფარმაკოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსის შედეგის დამტკიცების შესახებ**

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი, მე-6 პუნქტის, 32-ე მუხლის, 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, 2018 წლის 6 მარტის წარმომადგენლობითი საბჭოს მე-2 სხდომაზე დამტკიცებული „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესის და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობების”, რექტორის 2024 წლის 3 დეკემბრის ,, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მოლეკულური ფარმაკოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადების შესახებ “ N3558-02 ბრძანების, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 29 ნოემბრის N12 და 2025 წლის 28 თებერვლის N2 სხდომის გადაწყვეტილების საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1.დამტკიცდეს 2025 წლის 4 მარტს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტზე მოლეკულური ფარმაკოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის შედეგი და მოლეკულური ფარმაკოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩეული იქნას თამარ ბარბაქაძე.

2.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საიტზე.

3. კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა ბრძანების პირველ პუნქტში მითითებული პირისათვის და შემდეგი სტრუქტურული ერთეულებისათვის: ბიბლიოთეკა, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახური, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახური, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტი.

ნინო დობორჯგინიძე

რექტორი